ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ივანე ცაგურია, შ.პ.ს. „ფროფერთი ინვესტი“ (591017238; 599392885)

საფუძველი: 29.07.2013წ. №12/1321010-16

მისამართი: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ.№29

საკ.კოდი: №01.13.05.004.139

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 04.05.2012წ. №148049 (AR144078); **IV-კლასი**

ფუნქციური დანიშნულება: სავაჭრო ცენტრი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (13.08.13) დადგინდა:

„1-28“ ფასადზე: „3-4“ და „18-19“ მონაკვეთებში არ არის მოწყობილი საჩრდილობლები და ვიტრაჟები. „1-28“ მონაკვეთში შეცვლილია ნიშების მდებარეობა, გაბარიტები და რაოდენობა. „2-7“ და „16-22“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი სარეკლამო აბრები. „1-3“ მონაკვეთში ხარაჩოები მოსახსნელია. ფასადი შესაღებია და არ არის მოწყობილი გამწვანება.

„28-1“ ფასადზე: რიგელები გამოსულია კედლის კონტურიდან. „27-26“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ვიტრაჟები. „20-18“ და „5-3“ მონაკვეთებში არ არის მოწყობილი სავენტილაციო ღიობები. „28-27“ მონაკვეთში „+14.40“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფართი 29.00კვ.მ სიმაღლით 3.00მ. პარაპეტში მოწყობილია წყალგამომყვანი მილები.

„ი-ა^1“ ფასადზე: რიგელები გამოსულია კედლის კონტურიდან.

„ა^1-ი“ ფასადზე: დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები. „ა-დ“ მონაკვეთში რიგელი გამოსულია კედლის კონტურიდან.

შიდა კიბეებზე არ არის მოწყობილი საფეხურები. „+9.60“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბე, რომელიც უკავშირდება „+14.40“ ნიშნულს. „+14.40“ ნიშნულზე არ არის მოწყობილი ნაწილი გადახურვის ფილა. სახურავის ქვევით დამატებულია ხის დეტალები, კეხი გადაადგილებულია და აწეულია ზევით, შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია და შემცირებულია გაბარიტი.

საპროექტო შენობის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს.

ლ. ჯღარკავა